პირველკლასელი - სკოლა და სირთულეები

სტატიის ავტორი: ნათია ზაქაშვილი

კვლევების მიხედვით დადასტურებულია, რომ ექვსი წელი, ანუ ის პერიოდი, როდესაც ბავშვი სკოლის მოსწავლე ხდება, ძალიან რთული პერიოდია ბავშვის განვითარებაში. პატარა მოსწავლე სკოლის მოთხოვნებს რომ შეესაბამებოდეს, ის მომწიფებული უნდა იყოს ფიზიკური, გონებრივი თუ სოციალურ-პიროვნული თვალსაზრისით, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი თუ ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა, სწავლის პირველი დღეები და შეიძლება მთელი პირველი სემესტრი ბავშვების უმრავლესობისთვის საკმაოდ რთულია. თითქოს ყველა ბავშვისთვის სკოლაში მისვლის პერიოდი საოცნებო და საზეიმოა, მაგრამ გადის რამდენიმე დღე და სულ სხვა რეალობის წინაშე ვდგებით.

ამ სასწავლო წელს ჩემს პირველ კლასში 27 მოსწავლა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ბავშვი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებიდან მოვიდა, ძალიან უჭირთ გაკვეთილზე კონცენტრაცია, არიან ძალიან მოძრავები და უჭირთ ქცევის მართვა. ეს მდგომარეობა თითქოს არცაა გასაკვირი, რადგან უდარდელი სკოლამდელი დაწესებულებიდან ბავშვი მოსწავლედ იქცევა. მას უჩნდება ააალი და მისთვის რთული ვალდებულებები: სკოლაში დროულად მისვლა, გაკვეთილზე ყურადღებით ყოფნა, დავალებების შესრულება. ბავშვი ხვდება ახალ გარემოში, რომელსაც ტავისი წესები აქვს - როდის რა უნდა გააკეთოს, როგორ მოიქცეს. ეს კი რა თქმა უნდა მისთვის ადვილი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლის დაწყებიდან უკვე თვეზე მეტი გავიდა, ჩემი პირველკლასელების უმრავლესობას ჯერ კიდევ უჭირს სასკოლო წესების დაცვა:

- არ აცლიან ერთმანეთს პასუხს;
- არ არიან მობილიზებულები გაკვეთილზე;
- მასწავლებლის ნებართვის გარეშე იწყებენ საუბარს;
- ხშირად ბრაზდებიან ერთმანეთზე და იბუტებიან;
- წუწუნებენ მასწავლებლის მოთხოვნებზე, გამოხატავენ პროტესტს შესასრულებელი სამუშაოს მიმართ;
- ხშირად იციან ფეხზე წამოხტომა;
- უჭირთ გამართულად მერხთან ჯდომა;
- თუ ერთი ითხოვს რამეს, ითხოვს სუყველა;
- ხშირად ავიწყდებათ სასწავლო ნივთები;
- ადვილად იღლებიან და ეფანტებათ ყურადღება...

ასეთი პრობლემები რა თქმა უნდა გასაკვირი არ არის, მაგრამ საჭიროა ნელ-ნელა ყველა პრობლემა გადაიჭრას. თუ სკოლაში შესვლამდე ბავშვის ძირითადი საქმიანობა თამაში იყო, ამიერიდან მან უნდა „ისწავლოს სწავლა“, თამაში თვისუფალი საქმიანობაა, სწავლა კი მისგან ნებისყოფას მოითხოვს, სწორედ ამ ნებისყოფის გამომუშავება უწევს მას, რაშიც მასწავლებელთან ერთად მშობელიც უნდა დაეხმაროს.

გამოვყოფ რამოდენიმე მიზეზს, რომელიც ხელს უშლის მოსწავლეს ქცევის კონტროლში:

- ❖ ზოგიერთი მოსწავლე არ არის ფიზიკურად მზად სკოლისთვის. არ აქვთ განვითარებული მოტორული აპარატი, იღლება ძალიან მალე, უჭირს გამართული ჯდომა და გადაწოლილია მერხზე.
- ❖ ზოგიერთ მოსწავლეს კი არ აქვს კოგნიტური მზაობა: უჭირს ყურადღების კონცენტრაცია, მასალის დამახსოვრება, მოვლენათა შორის კავშირისა და მიმართების დამყარება.
- ❖ ზოგიერთ მოსწავლეს არ აქვს სოციალურ-ემოციური მზაობა: უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა, ქცევის სიტუაციის შესაბამისად მართვის უნარი, არ შეუძლია იმპულსური რეაქციის შემცირება, უჭირს ემოციის სიტყვით რეგულირება.

აქტივობები, რომლებიც გაგვიადვილებს ასეთი პრობლემების დროს პირველკლასელთა დაინტერესებას და თანდათან შეგუებას სასწავლო პროცესთან:

- ✓ მთავარია ბავშვი დავაინტერესოთ. სტიმული უნდა ჰქონდეს, რომ დავალებები შეასრულოს. გამოვიყენოთ ჯადოსნური ფრაზები, რომელიც ბავშვს სწავლას მოანდომებს. მაგალითად, ყოჩაღ, რამდნი წაიკითხე! მოდი, დავყოთ რამდენიმე ნაწილად; ახლა გაცილებით უკეთ წერ; ყოჩაღ, რომ ასეთი მონდომებული ხარ; ვიცი, რომ რთულია; კარგია, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა გაქვს...
- ✓ წუთშესვენების ლექსები, მუსიკისა და ფიზიკური ვარჯიშის თანხლებით.
- ✓ დავაწესოთ ბონუსები.
- ✓ ავამოქმედოთ "სურვილების ზარდახშა".
- ✓ გაკვეთილზე გამოვიყენოთ მრავალფეროვანი და სახალისო რესურსები.

ალბათ ნებისმიერი მოსწავლისთვის, განსაკუთრებით კი პირველკლასელისათვის მოსწავლისათვის აუცილებელია მშობლებისა და მასწავლებლებისაგან უპირობო სიყვარული, მათი გაგების უნარი, შექება-წახალისება და რეალური რეკომენდაციები, ბევრი თანამედროვე რესურსი და სახალისო აქტივობები, ნაკლები იძულება და მეტი პირადი მაგალითი, ეს ყოველივე დაარწმუნებს მოსწავლეს სწავლის ღირებულებაში, გაუღვივებს მას სწავლის მოტივაციასა და სიყვარულს.

დაბოლოს, იმედი მაქვს სასკოლო სწავლების პირველ წელს სირთულეები დროებითი მოვლენაა და სწორი დამოკიდებულებით აუცილებლად დავძლევთ. მშობლების და მასწავლებლის რწმენა, მშვიდი, გაწონასწორებული დამოკიდებულება დაეხმარება ბავშვს, თავი გაართვას ყველა სირთულეს და წარმატებულ მოსწავლედ იქცეს.

*გამოყენებული ლიტერატურა: მასწავლებლის წიგნი **„განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის“***

ავტორები: ანა ჯანელიძე, ნინო ლაბარტყავა,

ვიოლეტა კვირიკაშვილი, ქეთევან ქობალია

სტატიის ავტორი: სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნათია ზაქაშვილი